საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 24
09/01/2018

საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული (პირობიანი) აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე–3 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის, 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის #54 38 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზება:
ა) შენობა-ნაგებობა სოფელ ქორეთის ყოფილი გამგეობის ადმინისტრაციული შენობის ნაწილი (355.84 კვ.მ ს/კ #35.06.46.022.01/500), საწყისი საპრივატიზებო საფასური (აუდიტორული შეფასებით 3500.00 ლარი) შემცირდეს 97%-ით და განისაზღვროს 105.00 ლარით. „ბე“ და ბიჯი საწყისი გასაყიდი ფასის 10–10 პროცენტი, მონაწილის ბილეთის ფასი 20 ლარი.
ბ) შენობა–ნაგებობა სოფელ არგვეთის ყოფილი საბავშვო ბაღი (681.80 კვ.მ. ს/კ 35.10.50.005) საწყისი გასაყიდი ფასი (აუდიტორული შეფასებით 132951.00 ლარი) შემცირდეს 90%–ით და განისაზღვროს 13295.10 ლარით. „ბე“ და ბიჯი საწყისი გასაყიდი ფასის 10–10 პროცენტი, მონაწილის ბილეთის ფასი 20 ლარი.

2. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საუქციონო კომისიას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა N3).

ბენიამენ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი